საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 617 2016 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

„სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციისათვის“ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №657 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციისათვის“ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №657 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2015, 300160070.10.003.019044) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2018 წლის 1 იანვრამდე.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციისათვის“ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის“ დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №2

სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული მომსახურების ჩამონათვალი	
№	მომსახურების დასახელება
1	პროექტირება, ექსპერტიზა, ელექტროლაბორატორიის მომსახურება
2	ტრანსფორმატორების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება
3	სპეცტექნიკის შეკეთება, ტექნიკური მომსახურება
4	სპეცტექნიკის დაქირავება
5	სხვადასხვა სახის ელექტრო და მექანიკური მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
6	ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენებისათვის გრუნტის ხელით დამუშავების მომსახურება.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**